სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

95472614736424

**საქართველო**

სანოტარო მოქმედების დასახელება

# იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N241386899**

რეგისტრაციის თარიღი

**16.10.2024 წ**

ნოტარიუსი: ლანა ხანიშვილი
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N41
ტელეფონი: +995595272888

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის თექვსმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუს ლანა ხანიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N41, მომმართა ბატონმა ლევანი **ახვლედიანმა** (დაბადებული 30.07.1967წ. თბილისში, პირადი N 12002000366, ID ბარათი 23IA30746, რეგისტრირებული: თბილისი ჭაბუა ამირეჯიბის გზატ. N 1 ბ. 63), რომელიც წარმოადგენს **შპს „ძველი ქუჩა“-ს** (რეგისტრირებული 08/05/2009წ. საიდენტიფიკაციო N 204568182, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ლესელიძის ქ., №29) დირექტორს, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან და სადამფუძნებლო შეთანხმებისა. ლევანი **ახვლედიანმა** განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით მინდობილობის გაცემა და სანოტარო წესით დამოწმება. ვადასტურებ, რომ სანოტარო აქტის მონაწილის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა, წავუკითხე ტექსტი მას, განვუმარტე აქტის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. ლევანი **ახვლედიანმა** წაიკითხა აქტი, მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

**შპს „ძველი ქუჩა“-მ** (საიდენტიფიკაციო N 204568182), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მარწმუნებელი“ ან/და „საზოგადოება“, წარმოდგენილი დირექტორის **ლევანი ახვლედიანის** მიერ, **შალვა მიქელაძეს** (დაბადებული 14.08.1970წ. პირადი N 01024014178), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „რწმუნებული“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. „რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს „მარწმუნებლის“ წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში/სააგენტოებში, მათ შორის, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, გამგეობებში, საკრებულოში, ნოტარიუსთან ურთიერთობაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ საარქივო დაწესებულებაში და სხვა. აწარმოოს საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ლესელიძე, N 29, (ნაკვ.048/024); ქალაქი თბილისი, ქუჩა ხოდაშენი, N 4; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ ბერიძე, N 8 (ს/კ N 01.18.03.048.033) მშენებლობასთან (აშენება, დაშენება, მიშენება)/დემონტაჟთან/რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საქმეები, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, შეათანხმოს პროექტები, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს და/ან შესაბამისი ორგანოს სხდომებში, კრებებში გადაწყვეტილების მიღებისა და ხმის მიცემის უფლებით, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი განცხადებები, თანხმობები, ცნობები, ინფორმაციები, ნებართვები, მიღება-ჩაბარების აქტები, ფოტომონტაჟი, აზომვითი ნახაზი (მათ შორის, ელექტრონული ვერსია) და სხვა საჭირო დოკუმენტები, დააზუსტოს ფართი, შეიტანოს ნახაზებში კორექტირება, მოახდინოს წითელი ხაზების კორექტირება, აწარმოოს მოლაპარაკებები, გასცეს შესაბამისი სახის თანხმობა/განცხადება, მიიღოს გადაწყვეტილებები თვისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს უძრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის რეგისტრაცია და დოკუმენტების რეგისტრაცია, ელექტრონული დოკუმენტაციის ატვირთვა, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს და აღმოფხვრას ყოველგვარი ხარვეზი, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, მათ შორის, ხელი მოაწეროს მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან/ლეგალიზაციასთან საჭირო ყველა დოკუმენტს, გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად.
2. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაშვიდი წლის თექვსმეტი ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგა ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ხანიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელის წარმომადგენელს. სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული 14/07/2023წ. (ელექტრონული ასლი).

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟი 30 (ოცდაათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 5 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

„მარწმუნებელი“ _____

ნოტარიუსი
ლანა ხანიშვილი